ხელშეკრულება №01-03-89
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი **25 ივნისი, 2013 წ.**

შემსყიდველი – სსიპ "მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი", წარმოდგენილი დირექტორის **გია მამულაშვილის** სახით;

მისამართი: ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ.№1;

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: TRESGE22, ანგარიშის №GE24NB0330100200165022;

საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251.

მიმწოდებელი: შპს „ბუნებრივი აირი", წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი ქართელიშვილის** სახით;

მისამართი: ფაქტიური: ქ. თელავი, ჩოლოყაშვილის №1, იურიდიული: ქ. თელავი, თბილისის გზატკეცილი;

საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი" ბ/კTBCBGE22, ა/ა GE41TB7999236020100001;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 231251007

ერთი მხრივ **შემსყიდველი**, ხოლო მეორე მხრივ **მიმწოდებელი**, ხელმძღვანელობენ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ადასტურებენ, რომ **,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის , მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, „ს[1]" ქვეპუნქტის თანახმად, შემსყიდველის "პროფესიული სტანდარტები განათლებაში"** პროგრამის ბიუჯეტის **(UNICEF-ის გრანტი)** ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის წესით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა გარმანტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6. "შესყიდვის ობიექტი" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, მიმწოდებელის მიერ, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების გადამუშავების თემაზე სამუშაო შეხვედრაში მონაწილე 50 პერსონისთვის, სასტუმროში შეხვედრებთან და კონფერენციებთან დაკავშირებული მომსახურების (CPV55120000 - სასტუმროში შეხვედრების და კონფერენციების ორგანიზების მომსახურება,) გაწევა (შემდგომში მომსახურება), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.2. მომსახურების გაწევის ვადა და მახასიათებლები:

2.2.1. მომსახურების გაწევის ვადაა: 2013 წლის 26 ივნისი;

2.2.2. შეხვედრასა და კონფერენციასთან დაკავშირებული მომსახურება: საკონფერენციო დარბაზი - 1 დღე; ყავის შესვენება 50 პერსონაზე; სადილი (ლანჩი) 50 პერსონაზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1 262,71** (ერთიათას ორასსამოცდაორი ლარი და 71 თეთრი) ლარს დღგ-ს გარეშე;

3.2. მომსახურების ღირებულება დღგ-ს გარეშე: საკონფერენციო დარბაზი - 211,86 (ორასთერთმეტი ლარი და 86 თეთრი) ლარი; ყავის შესვენება 50 პერსონაზე - 254,24 (ორასორმოცდათოთხმეტი ლარი და 24 თეთრი) ლარი; სადილი 50 პერსონაზე - 796,61 (შვიდასოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 61 თეთრი) ლარი.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდაც ეკისრება მიმწოდებელს.

მუხლი 4.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1.შემსყიდველის მიერ მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელი ფაქტიურად გაწეული მომსახურების თაობაზე შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს, იმ პირთა დამოწმებულ სიას, რომელთაც გაეწიათ მომსახურება და შესაბამის საგადასახადო დოკუმენტაციას (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები).

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 პუნქტში მითითებული საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში;

4.4. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის გამო, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის გაფრთხილებიდან 5 დღის ვადაში მიაწოდოს მას ზემოაღნიშნულ პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე;

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ადგილი, მიღება-ჩაბარების წესი

5.1.მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს შემდეგ მისამართზე: ქ. თელავი, ჩოლოყაშვილის №1. სასტუმრო „ძველი თელავი“;

5.2. შემსყიდველი გაწეული მომსახურების თაობაზე მიმწოდებელთან აფორმებს მიღება-ჩაბარების აქტს;

5.3. მომსახურების გაწევად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველის მიერ იმ მომსახურების მიღება, რომელიც უნდა გაუწიოს მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით;

5.4. მომსახურების გაწევის დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი უხარისხობის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი დაუყოვნებლივ;

5.5. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება შემსყიდველის წარმომადგენელს ნინო ელბაქიძეს;

მუხლი 6. მხარეთა უფლებები

6.1. მიმწოდებელს უფლება აქვს სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში მოითხოვოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადახდა;

6.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.2.1.მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ვადაში;

6.2.2. არ მიიღოს უხარისო/ნაკლოვანი მომსახურება.

6.2.3. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;

6.2.4. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

მუხლი 7. მხარეთა ვალდებულებები:

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. სრულად გაუწიოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.1.2. დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები;

7.1.3.დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.1.4. გაუწიოს შემსყიდველს უნაკლო მომსახურება.

7.1.5. მიმწოდებლის ვალდებულება მომსახურების გაწევაზე ითვლება შესრულებულად მომსახურების გაწევის შემდეგ შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისი დოკუმენტი (მათ შორის ფინანსრული დოკუმენტაცია);

7.1.6. თუკი მიწოდებული მომსახურება აღმოჩნდა უხარისხო ან/და ნაკლული, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი, (შეცვალოს იგი სხვა ხარისხიანი საქონლით/მომსახურებით) საკუთარი ხარჯით ან შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად აუნაზღაუროს ნაკლი/უხარისხობა.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის თანხის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების 4.3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისგან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით „შემსყიდველის" საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. თუ წინასწარი გაუთვალიწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წინასწარ, ცვლილების განხორციელებამდე მინიმუმ ორი სამუშაო დღით ადრე, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი ფორმით, შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება დავა, წარმოქმნილი მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ;

10.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, მხარეებს შეუძლიათ დადგენილი წესის მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდელობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანი (შეთანხმების) გზით.

მუხლი 12. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების არაჯეროვნად არასრულად შესრულების ან შეუსრულებლობის გამო დააკისროს მიმწოდებელს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 1 %-ის ოდენობით;

12.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.
12.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო გადაუხდელი 0,5%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.
12.4.იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს ან/და მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება;
12.5. საჯარიმო თანხების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

13. ხელშეკრულების ინსპექტირება
13.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე ინსპექტირებას ახორციელებს შემსყიდველის მიერ სათანადოდ დანიშნული პირი - ნინო ელბაქიძე;
13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა დაუყოვნებლივ.

14. ხელშეკრულების ენა
წინამდებარე ხელშეკრულება, მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა
15.1. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლოა შეწყვეტილ იქნეს:
15.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
15.1.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

17. განსაკუთრეული პირობები
ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ გვერდზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად დაინახება ორი ეგზემპლარი შემსყიდველთან, ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
---	---
გია მამულაშვილი დირექტორი	**გიორგი ქართველიშვილი** დირექტორი